სახალხო გაზეთი

№ 534 შაბათი, 25 თებერვალი 1912 წ. № 534

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან 5 კ.**
„ „ თვეში — 75 კ. **დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

ზაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.15)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ მეორე წიგნისთვის

მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.
მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს. (10.1124.3)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

◆ **შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** ◆ გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაალდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

(20—1125—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. [illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass-rman-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—277)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., **№ 12.** სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**

ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით ატყობინებს ბ-ნთ კლუბის წევრთა, რომ, რადგან 16 ამა თებერვალს **არ შესდგა** წლიური საზოგადო. კრება, ამიტომ

ინიშნება მეორე საზოგადო კრება

26 ამა თებერვალს, საღამოს 8 საათზე.

1911 წ. ანგარიშისა, 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის გასაშინჯავად და თანამდებობის პირთა ასარჩევად. (3.1068.1)

ახალი კლუბი

შაბათს, 25. თებერვალს 1912 წელს.

ნაფიცი ვექილი **გ. ბ. გვაზავა ქართულად** წაიკითხავს ლექციას

„საზოგადოება, როგორც ორგანიზმი“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თეატრში შესვლა უფასოდ შეიძლება.

კლუბში შესვლის ფასი ჩვეულებრივია. (1—1119—1)

დღეს სახაზინო თეატრში ლექცია ა. ლისოვსკისა:

„ეროვნება და ნაციონალიზმი“,

დასაწყ. საღ. 8 ს. ფასები დაკლებულია. შეგირდების ბილეთი 50 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დაწვრილებით აფიშებში. (1.1115.1)

დაბა სამტრედიის შემნახველ-გამსესხებელი

კასის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1912 წლის **26 თებერვალს,** ორ-კლასიან სასწავლებლის დარბაზში **დანიშნულია წევრთა**

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ა) 1911 წლის ანგარიშის დამტკიცება.
   ბ) მოგების განაწილება.
2. მობარებულ ფულებზე სარგებლის განსაზღვრა.
3. სესხის აღების საკითხი.
4. 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. წესდების შეცვლის საკითხი.

(1.1128.1) გამგეობა: **რემანოზ ეგნატეს ძე ახობაძე, ათანასე ბესარიონის ძე რუხაძე.**

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ამ მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ 26 თებერვალს, დილის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

ვისაც ამრჩევლის და თავად-აზნაურთა საქმეში მონაწილეობას ცენზი აქვს, კეთილ ინებებენ და საამისო დამადასტურებელ საბუთებს წარმოადგენენ. (3—1108—2).

დოქტორი მედიცინისა წამლობა ჭლექისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10** ტელეფ. 792. (თ. 100—1534—98)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 243)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის საშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№ 18,** თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 112)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. **ბა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“

(წლ. 1090 280)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., **№ 20.** (წ. 1249 84).

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12 ს.** (9—49.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., **№ 67,** სახლი სვანიშვილისა.

დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიის

კრებული

აცნობებს იმ პირთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი ხსენებულ ეკლესიის მრევლობისა და ირიცხებიან ამ თაობაზე შედგენილ სიებში, რომ, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, კვირას, 26 ამა თებერვალს, წირვის შემდეგ, დანიშნულია განმეორებითი არჩევნები ეკლესიის მნათისა და სამზრუნველოს წევრებისა დიდუბის ეკლესიისთვის.

წირვა დაიწყება დილის ცხრა საათზე. (2.251.2)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. **№** 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(т. 1084.96)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№** 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.53).

ექიმი კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით **9-**დან **2-**მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** (50--1552-41)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. **№** 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—8)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Muthi[illegible]-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., **№** 39, ტელეფონი **№** 1067. (100—1117—104).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—6)

ტფილისი, 25 თებერვალი

თავად-აზნაურთა საქმეების გარშემო.

ეს რამდენიმე დღეა რუსულ ასოებით დაბეჭდილ „ქართულ“ გაზეთებში პოლემიკაა ატეხილი თავად-აზნაურთა საქმეების გამო. ძალიან საინტერესოა ეს პოლემიკა; საინტერესოა იმით, რომ არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენს. „ზაკ. რეჩ“-ში აბისელი ქვასა და გუნდას აყრის დეპუტატთა საკრებულოს დღევანდელ მეთაურებს, ლანძღავს, მიწასთან ასწორებს, ამტკიცებს. რომ ეს მეთაურები გემრიელ ლუკმას უდარაჯებენ, რომ დეპუტატთა საკრებულოში პირად ინტერესებით გატაცებული „მოღვაწენი“ სხედან. თავის მხრით არც „ზაკავკაზიე“-ა გაჩუმებული და პასუხად ისეთსავე ბრალდებას უყენებს. თქვენ იმიტომ ჯავრობთ, რომ გინდათ გემრიელ ლუკმას დაეპატრონოთ, მაგრამ ვერ ახერხებთო. ასეთი ვულგარული კამათია ატეხილი თავად-აზნაურთა საქმეების გარშემო. ყურადღებით გადავიკითხეთ აბისელის წერილი და მყვირალა ფრაზების მეტი იქ ვერაფერი დავინახეთ. ნათლად, მეტად, ნათლადა სჩანს აბისელის წერილში ჰანგი პირად უკმაყოფილებისა, პირად გაბოროტებისა. მის მოწოდებას, სანამ გარკვეულად და გადაჭრით არ იქნება გამოთქმული, რა ჰსურს თვით მას, ან მოქმედების რანაირ პროგრამას ურჩევს თავად-აზნაურობას, მხოლოდ ყინულზე დაწერილ თამასუქის ფასი და მნიშვნელობა ექნება—არც მეტი, არც ნაკლები. აბისელებისთანა პირებს ვერც შეუძლიანთ რაიმე **ოპოზიცია** შექმნან, რადგანაც ისინი თავად-აზნაურობის სისხლი და ხორცი არიან. რაღაც ბრმა ბედმა დააშორა აბისელები დეპუტატთა საკრებულოს, ბრმა ბედმა გახადა ისინი „ოპოზიციონერებად“ და იგივე ბრმა ბედი, შესაფერს პირობებში, თავის მშობელ წრეს მიაბარებს. არავითარი **პრინციპიალური** განსხვავება აბისელებსა და დეპუტატთა საკრებულოს შორის არ არსებობს. სწორედ ამიტომაც, მათ წერილებსაც მხოლოდ პირად უკმაყოფილების ელფერი გადაჰკრავს და არა ღრმა პრინციპიალურ უთანხმოებისა.

მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ დეპუტატთა საკრებულო და მისი ხელმძღვანელები ისე მოქმედებდნენ, როგორც ქართველ ხალხის საჭიროება მოითხოვდეს. „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილია ფელეტონები ვინმე ფუტკარისა. მეტად ნაცნობი, მრავალჯერ მოსმენილი და ჯეროვანად დაფასებული აზრებია გამოთქმული ამ წერილებში. ავტორი იმეორებს იმ მოძველებულ მოსაზრებას, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ვიწრო წოდებრივ ინტერესებს კი არა საერთო კულტურულ ინტერესებს ემსახურებაო.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, რომ კომიზმი ჩვენებურ თავად-აზნაურობის მოქმედებისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას ჰსურს წოდებრივი დაწესებულება ეროვნულ ინტერესების დამცველად დასახოს. თეორიულადაც რომ არ ვამტკიცოთ ამ აზრის უსაფუძვლობა, თვით ცხოვრება გვიჩვენებს, რამდენად არ შეეფერება ასეთი შეხედულება სინამდვილეს. გადაათვალიერეთ თავად-აზნაურთა ანგარიშები და დარწმუნდებით, რა უმნიშვნელო ჯამი იხარჯება ისეთს საქმეებზე, რომელთაც საერთო ქართული კულტურული ღირებულება აქვთ. ნახეთ, როგორის სიძუნწით აძლევენ დახმარებას ისეთს დაწესებულებებს, როგორიცა, წერა-კითხვის გამავრცელებელი, ფილარმონიული, სიტყვა კაზმული საზოგადოებანი. დეპუტატთა საკრებულოს მესვეურთა თვალში ყველა ამ დაწესებულებებს იმდენად დიდი კულტურული ღირებულება არა აქვთ, რომ დიდი თანხა გადასდონ მათს სასარგებლოდ. თუ აძლევენ რასმე, მხოლოდ სინიდისის დასამშვიდებლად. სამაგიეროდ, მოიგონეთ, რანაირის დაჟინებით მოითხოვენ ხოლმე წინამძღოლები სუბსიდიებს პროვინციალურ პროგიმნაზიებისთვის. ამ მეთაურებს შესაძლებლად მიაჩნიათ ერთსა და იმავე დროს გალაშქრება ქართულ გიმნაზიის წინააღმდეგ და გამოქომაგება პროვინციის პროგიმნაზიებისა, რომელთაც არაფერი ქართული არ აცხიათ. ქართული გიმნაზია, მიუხედავად მრავალ ნაკლისა, მაინც ქართული დაწესებულებაა, იქ განსაკუთრებით ქართველი მოსწავლენი იზრდებიან, სასწავლებლის ბატონპატრონნი თვით ქართველები არიან. ამისთანა გიმნაზიის წინააღმდეგ დე-

პუტატთა საკრებულოს ზოგიერთი მესვეურები იერიშით მიდიან, მაგრამ ისეთ სასწავლებლებს, რომელთაც არაფერი ქართული აქვთ, დახმარებას სიამოვნებით აძლევენ. რას წარმოადგენენ ეს პროგიმნაზიები, ეს ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ პროვინციიდან მოსულ კორესპონდენციებიდან. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად თელავიდან გვატყობინებდნენ, თელავის პროგიმნაზიაში არც ერთი ქართველი მასწავლებელი არ არის და გამგემ ნიკიტსკიმაც მოუხერხებლად სცნო იმის აღიარება, რომ სასწავლებელი საქართველოს მეფეთა სასახლეში იმყოფება და არა თავადიშვილებისა. აი, ასეთს პირებს უვარდებათ ხელში პროგიმნაზიები, და თავ.-აზნაურობაც სიამოვნებით ეგებება. იტყვიან, არის ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც გვაიძულებს ასეთი დახმარება აღმოუჩინოთო. ვსთქვათ, ზოგიერთს შემთხვევებში ასეთი მოსაზრება მართალიცაა. პროგიმნაზიები ხომ სავსებით თავად-აზნაურთა **ინიციატივითა** და დახმარებითაა გაჩენილი. პროვინციის პროგიმნაზიები გაჩნდა და თავად-აზნაურობამაც დახმარების ხელი გაუწოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პროგიმნიზიები თავისი ანტინაციონალურ ხასიათით ძალიან ეთვისება ჩვენს გადაგვარებულ თავად-აზნაურობის ანტინაციონალურ ტენდენციებს.

ამის შემდეგ კიდევ გვიმტკიცებენ, თავად-აზნაურობის მოქმედება ეროვნულიაო.

ოპოზიციამ, თუ დაიბადა ნამდვილ, საზოგადოებრივ ინტერესებით გატაცებული ოპოზიცია, ჯერ თავად-აზნაურობის მოქმედების ამ მხარეს უნდა მიაქციოს ყურადღება და ყოველი ღონე იხმაროს, რომ საზოგადოებიდან ამა თუ იმ სახით გამოწურული თანხა ისევ საზოგადოების კულტურულ დაწესებულებებს დაუბრუნდეს, მოხმარდეს ისეთს საქმეებს, რომელნიც რაიმე კულტურულ ეროვნულ ღირებულებას ჰქმნიან და არა პროგიმნაზიებს, რომელთა ფასი და მნიშვნელობა ძალიან კარგად იცის ყველა შეგნებულმა ქართველმა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ს.-პეტერბურგის ვედომოსტ"-ში მოთავსებულია ჩინეთის რესპუბლიკის კომიტეტის წევრის საუბარი საფრანგეთის ჟურნალისტთან:

> ჩვენ გვრწამს, რომ ჩინეთის რესპუბლიკას ყველა სახელმწიფო ოფიციალურად მაშინ აღიარებს, როდესაც სამინისტროებს შევადგენთ; ეს კი სულ რამდენიმე დღის საქმეა: მივა თუ არა იუანშიკაი ნანკინში, მინისტრთა კაბინეტი დაუყოვნებლივ შესდგება.

საფრანგეთის ჟურნალისტს მისთვის მანჯურელ ხანის წერილზე მიუთითებია, სადაც სწერია:

> დიდმა მინისტრმა იუანშიკაიმ პრინცებს განუცხადა: თუ რესპუბლიკის გამოცხადებაზე დავთანხმდებით, ბრძნულად მოვიქცევით, რადგან თუ იგი კეთილ შედეგებს ვერ მოიტანს, მაშინ ჩვენ ჩრდილოეთის ყველა სამხედრო ძალებს თავს მოვუყრით, ჩვენს ფინანსებს მკვიდრ ნიადაგზე დავაყენებთ და **კონსტიტუციონურ მონარქიას** შევქმნითო''.

ამაზე ჩინელ რესპუბლიკანელს უპასუხნია:

> ხანის სიტყვები მხოლოდ ჟურნალისტის სიტყვებია, რომელსაც უნდა დაიცვას გარეგნული მდგომარეობა მანჯურელებისა. მართალია, ჩვენს პრეზიდენტს იუანშიკაის ყოველთვის ჩვენთან ერთად არ უმოქმედნია, მაგრამ ჩვენ ბევრი საბუთები გვაქვს მას ვენდობოდეთ და რესპუბლიკის მფარველად ჩავთვალოთო'',

სახელმწიფო საბჭო

23 თებერვალის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს. განაგრძობენ ადგილობრივ სასამართლოს განახლების კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. კომისიის რედაქციით მიიღეს 25—28 მუხლი სათემო სასამართლოთა საქმის წარმოების შესახებ. საბჭო გადადის უმაღლეს სასოფლო სასამართლოს შესახებ მუხლების განხილვაზე.

ზინოვიევი წინადადებას იძლევა გამორიცხონ ეს მუხლები, რადგანაც ახალი ფორმა სააპელაციო სასამართლოსი, რომლის თავმჯდომარედ მებატონე იქნება, დამოუკიდებელ სასამართლოს არ წარმოადგენს. უფრო ადვილია, ისევ მომრიგებელ მოსამართლეთა კრება დავტოვოთ სააპელაციო ინსტანციადაო.

წინააღმდეგ ილაშქრებენ კომისიის **მომხსენებელი და იუსტიციის მინისტრი.** უკანასკნელი ამტკიცებს, უმაღლესი სასოფლო სასამართლო უფრო ახლოსა სდგას ხალხთან და მისი უმთავრესი უპირატესობა კი იმაში მდგომარეობს, რომ საქმის გადაწყვეტა ისეთ პირების ხელში იქნება, რომელნიც ზედ მიწევნით იცნობენ ადგილობრივ ადათ-ჩვეულებათო.

ზინოვიევის წინადადება უარჰყვეს. სხდომის შეწყვეტამდის მიიღეს 29—31 მუხლი.

სხდომის მეორე ნაწილი ადგილობრივ სასამართლოს განახლების კანონ-პროექტის მუხლებრივ განხილვას მოანდომეს.

კომისიის რედაქციით მიიღეს 42-53 მუხლი თვალ-ყურის დევნებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია 54 მუხლმა, რომელიც სათემო სასამართლოს უფლებას განსაზღვრავს.

სტიშინსკის წინადადებით ეს მუხლი ასე გადააკეთეს: სათემო სასამართლო არჩევს სამოქალაქო საჩივარს, როგორც გლეხებს შორის, ისე საგლეხო საზოგადოებრივ თვითმართველობათა დაქვემდებარებულ პირთა შორის, აგრეთვე ერთის მხრივ სოფლის მკვიდრთა სასოფლო საზოგადოებათა შორის; სათემო სასამართლოს მოვალეობაა აგრეთვე ხსენებულ პირთა ბოროტ-მოქმედების გამორკვევა.

შემდეგი სხდომა 25 თებერვალს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენაზე სომხურად წარმოადგინონ გაბრიელ სუნდუკიანის 4 მოქმედებიანი **კომედია** „ანდერძი".

◆ **ნ. ე. ზუბალაშვილის სტიპენდია** კენჭის ყრით ერგო ქართულ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლეს შალვა თუხარელს.

◆ **ა. ნ. ლისოვსკის ლექცია.** დღეს სახაზინო თეატრში ცნობილი ლექტორი ა. ნ. ლისოვსკი ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ერი და ეროვნება" დასაწყისი ლექციისა საღამოს 8 საათზე.

◆ **ა. ს. პუშკინის ბინა ტფილისში.** როგორც ამას წინად მკითხველთ მოკლედ ვაცნობეთ, პუშკინის ქუჩაზე იმ ადგილას, სადაც ეხლა წურინოვის სახლია, უწინ სხვა სახლი მდგარა, სადაც რუსის გამოჩენილს პოეტს ა. ს. პუშკინს უცხოვრია. სახლის კედელზე მიკრული ყოფილა მარმარილოს ფიცარი წარწერით (ოქროს ასოებით): „ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი". ეს ფიცარი ქალაქის გამგეობამ თვითმმართველობის შენობის სახურავზე აღმოაჩინა და სამუნიციპალო მუზეუმში გადასცა. სამაგიეროდ შეუკვეთა მეორე ფიცარი, რომელიც წურინოვის სახლს უნდა მიაკრას. ფიცარს შემდეგი წარწერა ექნება: —„ამ ადგილს იდგა სახლი, სადაც ა. ს. პუშკინი სცხოვრობდა".

◆ **სამოსწავლო ინსტიტუტის მასწავლებელთა უფლებების გაფართოვება.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, სახალხო განათლების კომისიამ სასურველად სცნო სამოსწავლო ინსტიტუტის მასწავლებელნი საშუალო სასწავლებლის მასწავლებლებთან სამსახურის უფლებებში გაათანასწოროს.

◆ დიდ მთავარს **ნიკოლოზ მიხეილის ძეს, ბორჯომის მამულში** სეისმო-მეტეოროლოგიური სადგური დაუარსებია, რომლის გამგედ **ვებერი** დაუნიშნავს.

◆ სარატოვის გუბერნიაში ამას წინად გარდაცვლილა მდიდარი გლეხის ცოლი კოლიაჩენკოვა, რომელსაც 25000 მან. დაუტოვებია ხარკოვის უნივერსიტეტისათვის. უნივერსიტეტს ვადა გაუშვია და ეს ფული მემკვიდრეების ხელში გადასულა. მიუხედავად ამისა მემკვიდრეები თანახმა არიან ეს ფული კუთვნილის სასარგებლოდ უნივერსიტეტს დაუბრუნონ.

◆ დეპეშათა სააგენტოს ცნობით სამხედრო სამინისტრო არკვევს საკითხს **ყუბანისა და თერგის ოლქებში** საერობო-სამეურნეო მმართველობის შემოღებისას.

◆ დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, **მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო 1912 წლის 4 ენკენისთვემდის გაგრძელდეს ბაქოში გაძლიერებულ დაცვის წესები** და ნამესტნიკის განსაკუთრებითი უფლებანი კასპიის ზღვის სავაჭრო ფლოტზე.

◆ ბრიუსსელში დიდი საზოგადოება შემდგარა **კავკასიაში თათბირისა და ქვა-ნახშირის მადნების დასამუშავებლად.** საზოგადოებას განუზრახავს ქვა-ნახშირის და თათბირის დიდი წარმოება გააჩაღოს.

◆ ქალაქის გამგეობამ 4,500 მან. გადასახადი მოსთხოვა უსახელო საზოგადოებას, რომელიც ტფილისსა და თელავსა, სიღნაღსა და სხვა ქალაქებს შუა 30 ავტომობილს ამუშავებს. უსახელო საზოგადოებამ შემოუთვალა ამ ფულის გადახდევინება კანონის ძალით ქალაქს არ შეუძლიან, რადგანაც ჩვენი ავტომობილები ქალაქის ქუჩებზე არ დადიანო.

◆ გუშინ **ორ მეპურეს** შეუდგინეს ოქმი.

◆ **„ახალ კლუბს"** 1911 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 69,603 მან. 85 კაპ., ხარჯი—66,023 1 კაპ. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით კლუბს შემოსავალი ექნება—86,600 მან. ხარჯი ამდენივე.

◆ 28 თებერვალს, ტფილისში 46 უპასპორტო შეიპყრეს

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს კრებაზე.** რომელიც 27 თებერვალს მოხდება სხვათა შორის, ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევნები მოხდება,

◆ **სახალხო ბანკი.** 26 თებერვალს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელთა კრება მოხდება ტფილისში მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების დაარსების თაობაზე.

◆ **მომხმარებელ საზოგადოების „მომავლი"-ს კრება** 22 თებერვალს მოხდა, როგორც გამოირკვა, გამგეობას მაღაზიისათვის უკვე დაუქირავებია ნაძალადევში შესაფერი შენობა და საქონელიც დაუწყია. კრებამ მოისმინა ეს ცნობა და გამგეობას ნება დართო, ვაჭრობა დაიწყოს. ნაყიდ საქონლის შესაფასებლად საგანგებო კომისია აირჩია.

◆ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებული კრება** 23 თებერვალს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. როგორც ბ-ნ ხატისოვის სიტყვიდან აღმოჩნდა, კავკასიის ნამესტნიკი თანაგრძნობით შეჰგებებია ტფილისის უნივერსიტეტის საკითხს და აღუთქვამს, პეტერბურგშიაც მხარს დაუჭერს ამ საკითხსაო. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) ქალაქის საბჭოს სახელით სთხოვოს კავკასიის ნამესტნიკს, პეტერბურგში წასვლისას ტფილის. უნივერსიტეტის ტიპი გამოარკვიოს, 2) სთხოვოს კავკასიის უნივერსიტეტის მთავარ კომიტეტს, ტიპის გამორკვევის შემდეგ უნივერსიტეტის ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი შეადგინოს და 3) თხოვნით მიმართოს კავკასიის ქალაქებს, რათა უნივერსიტეტის საკითხს მხარი დაუჭირონ.

სასამართლო

◆ **სტუდენტი ვლადიმიროვის საქმე.** დღეს ტფ. სასამართლო პალატა გაარჩევს საქმეს სტუდენტ ვლადიმერ ვლადიმიროვისას, რომელსაც თავის ცოლის მოკვლა ბრალდება. ოლქის სასამართლომ ვლადიმიროვი გაამართლა, მაგრამ ბრალდებულის განსაჩივრების საქმე პალატაში იქნა გადატანილი.

ქუთაისი.

◆ **თამარაშვილის ძეგლის ასაგებად** აპასთუმნიდან „კოლხიდას" მიუღია მოწენიძის მიერ შეგროვილი 5 მ. 3 აბაზი.

◆ ქუთაისის ქალთა უფასო სკოლის გამგემ—ტიმჩენკო-რუბანისამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა 1911 წლის ანგარიში; 1911 წელს 217 მოსწავლე ქალი ყოფილა ამათში 198 **ქართველი** და 19 **რუსი,** ხარჯი ყოფილა 4,946 მანეთი და 9 შაური. ხაზინას მიუცია შემწეობა 2500 მანეთი. ქალაქს 1400 მანეთი.

◆ დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრებაზე გადასწყდა, რომ **საგაზაფხულოდ დასი არ იყოლიონ.**

ამ მარხვის უკანასკნელ კვირაში დრამატიული საზოგადოება **საღამო მეჯლისსა** ჰმართავს ცოცხალ სურათებს, გამგეობა მ. ქორელს ჰგზავნის ტფილისში დეკორაციებისა და ტანისამოსისათვის.

◆ **შავიქვის საბჭომ** გაგზავნა სამთამადნო დეპარტამენტში მოხსენება კავკასიის სამთამადნო მართველობის დადგენილების წინააღმდეგ, საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთ საგნის გამორიცხვის თაობაზე.
„კოლხ".

22 თებერვალს ქუთ. **ოლქის სასამართლომ გაარჩია** საქმე შონვაძის, კოლუაშვილის და ლიდა შონვაძისა, რომელთაც ბრალდებოდათ წინასწარ განძრახვით მოკვლა კოხრეიძისა. სასამართლომ ზემო-აღნიშნული პირნი დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა; შონვაძეებს ორთავს—15 წლის კატორღა, კოლუაშვილს—10 წლით. იცავდნენ ნაფ. ვექ. მ. ქიქოძე და გელაზაროვი.

◆ 23 თებერვალს დამთავრდა საქმე **ქუთ. საოლქო სასამართლოში** რიაბიკინის, თხილაშვილის, წაქაძის, კორძაძის, მემარნიშვილის, ტაბიძის და სახელაიასი. ამათ ბრალდებოდათ ნატანებში ნავთის მილის გაჭრა. სასამართლომ მათ სხვა და სხვა ვადით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა. იცავდნენ ნაფიც ვექილები: გიორგაძე, გელაზაროვი, მასლოვი, თუქსი და ქეიშვილი.

◆ **ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო გიმნაზიის** ნაუფროსალი ქალი უკვე გაემგზავრა ქუთაისიდან.

◆ **სენაკის და ზუგდიდის შუა** რამოდენიმე პირს განუზრახავთ მოაწყონ **ავტომობილების მიმოსვლა,** წინად დადიოდნენ ავტომობილები, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს რაღაცა მოსაზრებით მიმოსვლა შეაჩერეს.

◆ **ქ. წ. კ. გამავრცელ. საზოგადოების ხონის განყოფილებას** აქვს დ. ხონში საკუთარი წიგნის მაღაზია. ამ მაღაზიის შემოსავლით ინახება ხონის სამკითხველო, გარდა ამისა უთ რამ სამკითხველოს შესანახს მაღაზიის მოგებიდან გადარჩა, ეს თანხა კულ[illegible] ხმარდება. ყველა ქართველ მასწავლებლის ([illegible]) მოვალეობაა წიგნები, რვეულები და საკანცელარიო ნივთები ამ მაღაზიიდან შეიძინონ, უმეტესობა აგრე იქცევა, მაგრამ ზოგიერთი მასწავლებლები, როგორც გვაცნობებენ ხონიდან, გვერდს უხვევენ წ. კ. წიგნის მაღაზიას და წიგნებს კერძო მაღაზიაში ყიდულობენ,

◆ კვირას, 26 თებერვალს, ქუთაისის **სახალხო უნივერსიტეტი** გაჰმართავს ლექციების კითხვას. მსოფლიო ლიტერატურიდან ლექციას წაიკითხავს—გ. ნათაძე, რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა ძირითად კანონებზე—გრ. გიორგაძე.

◆ 21 თებერვალს, როგორც დ. ხონიდან გვაცნობებენ, **გაფიცულან ხონის საოსტატო სემინარიის შეგირდები.**

◆ 22 თებერვალს, საღამოს, **ქუთ. საზოგ. საკრებულოს მამასახლისთა საბჭომ,** სხვა კითხვათა შორის ბიბლიოთეკის საკითხიც გაარჩია და დაადგინა შემდეგი: შესაფერად გაუმჯობესდეს საკრებულოს არსებული ბიბლიოთეკა და საღამოობით, 8 საათს შემდეგ, მეთვალყურეთ მოიწვიონ ქუთ. ქალაქის ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე პ. გ—ძე. („ცხ.")

შეცდომის გასწორება. ქუთაისის გუშინდელ ახალ ამბებში დაბეჭდილი იყო: 20 თებერვალს საჩხერეში ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია **ფასია აბაშიძის** მოკვლა ბრალდებოდაო. **უნდა იყოს,** რომ **დიდებულიძემ** მოჰკლა **აბაშიძე** და მაშასადამე სასამართლომ გაამართლა არა აბაშიძე, რომელიც კარგა ხანია საფლავში იმყოფება, არამედ გ. ამილახვრის მოურავი **დიდებულიძე.**

დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი.

სამი დღით გამოცხადებულმა გაფიცვამ მშვიდობიანად ჩაიარა. მათემატიკოსმა მარკოვმა აუდიტორიაში განაცხადა, მას შემდეგ, რაც მინისტრმა უნივერსიტეტი საპოლიციო უბნად გადააქცია, მე ჩემის ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია ლექციების კითხვაო. ამის შემდეგ მარკოვი გავიდა აუდიტორიიდან. გაუმართეს ავაცია.

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მინისტერთა საბჭოში განხილულ იქმნა საკითხი შავი ზღვისა და საუღელტეხილო რკინის გზის შესახებ. საბჭო ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა და ამიტომ ხელმწიფეს წარუდგინეს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ახალი კანონი აფთიაქების გახსნისა.

სატახტო გაზეთი „რეჩი" (№ 45) გადმოგვცემს, რომ სათათბიროს მი-

ქალაქ გორის ავ-კარგი

(გაკვრით)

ამ დღეებში, ქალაქ გორში მომიხდა ყოფნა და საჭიროდ მიმაჩნია გაკვრით მაინც ვაუწყო ქართველ მკითხველებს ზოგი რამ გორის ავკარგიდან.

ქ. გორი გულია მთელის ქართლისა, იგი ზედამრჩოა საქართველოის წარსულის დიდებისა და იგივე შეიქმნება მოწმედ „ალიასა და მუსიასაგან" ყბად აღებულ ჩვენის ქვეყნის უკეთესის მომავლისა: ამის თავმდებია დღევანდელი შელამაზებული, მორცხვი პატარძალივით მოკეკლუცე, გამოფხიზლებული ძველი ქალაქი განახლებულის ქართლისა.

რკინის გზის სადგურიდან ქალაქისკენ რომ გაემართებით, თქვენ პირველ ყურადღებას იზიდავს „იგივ მხნე, იგივ ამაყი" გორის ციხე! ჩერდებით და უყურებთ, უყურებთ და არა გჯერათ, რომ ეს ციხე აშენებულია მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, რომ იგი გვირგვინია ქირნახულის საქართველოისა, რომ იგი ძეგლია სამშობლოის დიდების—თამარის დროისა! გორის ციხის კედლებზე სწერია შვიდას-რვაასი წლის ისტორია საქართველოისა, იგი მამაპაპათა სისხლითაა მორწყული, ციხე იგი განხორციელებული ნიჭი და ძლიერებაა ქართველის ერისა და ფიქრებში წასულს აღარ გინდათ თვალი მოაშოროთ გორის მიდამოს.

ამ ციხის პირდაპირ, მტკვარ გაღმით, მაღალ სერზე ჩაფიქრებული გადმომდგარა გორიჯვრის ეკლესიაც. უმზერით და გიკვირთ: რა ხელმა, რა ძალამ აზიდა თითქმის თვალუწვდენელ ქედზე, ფრიალოდ ჩამოლესილ კალთებზე მთისა ამოდენა ქვა და კირი, ამოდენა ლოდი და ქვიშა, გორიჯვრის ასაშენებლად! ქართველი ერი ან ეგვიპტელთა ძალა-ძლიერების ხალხი ყოფილა, ან არა და — იმდენად რიცხვმრავალი, მცოდნე, გამჭრიახი და მოხერხებული, რომ ასეთი ბუმბერაზების აშენება არ გასჭირებია!. უყურებთ ამ ორ დიდებულ ნაშთს და გული სიამოვნებით გიცემთ. „არა ამ ნაშთების პატრონი ხალხი არასოდეს არ მოკვდება, თუმცა დღეს-დღეობით საქართველოს მესაფლავე უფრო ბევრია, ვიდრე მისი ქირისუფალიო!" ჰფიქრობთ და გავიწყდებათ დღევანდელი დღის სიცხადე, გავიწყდებათ თვით თქვენივ დაკნინება, თქვენი შეცდომები წარსულში, თქვენი ფუქსავატობა აწმყოში, თქვენი გულგატეხილობა მომავლის შესახებ. თქვენ იზრდებით თქვენსავე თვალში, ამაყობთ რომ **ქართველი** ხართ და მთელის თქვენის არსებით გსურთ ნამდვილი ადამიანი, ნამდვილი გმირი იყოთ, ასეთივე გულუხვი, გულადი და პურადი ქართველი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ქედს არ უხრიდა მწუხარებას, ყველა ერს ძმურად ხელს აძლევდა, ყველა გაჭირვებულსა და შევიწროვებულ მეზობელს,—ბეჩავსა და დავრდომილ მეზობელს, — მზრუნველობით ჰკვებავდა და აადამიანებდა!

ამ ძველ ნაშთების მომზირალს გული გიმაგრდებათ და გწადიანთ წაავლოთ კისერში ხელი დღევანდელ ბრმა, მოშურნე; მხოლოდ თავის ვერანა მუცლისა და კუჭის მოტრფიალეთ, ჩვენის ქვეყნის დამაწყევარსა და მტერს, ყველიპარია ციცასავით ცხვირი მიუცეცქოთ ამ ძველ ნაშთების კედლებზე და ჩასძახოთ: „რას დაგვჩხავით თავზე შავი ყორნებივით, აბა შეხედეთ ამ დიდებას ერისას. ვის ასწავლით ჭკუას, ვის ემუქრებით, ვის უთხრით სამარეს, ვის იგდებთ მასხარად? ქართველებს"?! და გულადად მიაბიჯებთ ქალაქისაკენ.

აგერ ახალი ხიდი. ლამაზი და კოპწია ხიდი. ხიდი და მის გასწვრივ ქუჩა—სამეფო ქუჩა — ხალხითაა სავსე. დასეირნობენ, მოღუღუღუნე მტკვრისა და შფოთარე ლიახვის მზერით ერთობიან, ან ერთმანეთს ემასლაათებიან, თავს იქებენ, სხვებსა სჭორავენ. თქვენც შეერიეთ ამ ხალხში და... გაჭქრა თქვენი აღმაფრენაც!

თანამედროვე „ცივილიზაციას" თუ „თბილიზაციას" თავისი ბეჭედი დაუსვავს ყველასათვის: ირგვლივ მეპარუსკე ქალ-ვაჟი, ირგვლივ კაკარდოსანნი, ირგვლივ ჩინოსანნი, ირგვლივ ვაჭრები და ჩარჩები, ირგვლივ ბედის მაძიებელნი, ლუკმა პურის მონა და გაჭირვებულ ცხოვრების ყმა და მორჩილნი!

თქვენ აღფრთოვანებას ბოლო ეღება. და ამ ბრბოში თქვენი თავი სულ უცხოდ და გეჩვენებათ, ისეთ უცხოდ, რომელსაც ყურადღებასაც კი არავინ აქცევს. გული გტკივათ თქვენ არარაობაზე, თქვენ **პატარაობაზე** და ხალხთა შორის თქვენც,—ერთი ამ ხალხთაგანი—უბრალო მეთვალყურედ და ჰხდებით... ბრბოში გათქვეფილი, სადღეისო ზრუნვისა და ფიქრის მატარებლად და რჩებით, პოეზია პროზაზე გეცვლებათ და მანქანასავით მიდიხართ გორის უმთავრესს ქუჩაზე.

ძალზე გალამაზებულა ეს ქუჩა, გასუფთავებულა. ლამაზები და სუფთები გამხდარან სხვა ქუჩებიც. ძველი ქოხმახების ნაცვლად, კოხტა ორ-სამ სართულიანი სახლები აუშენებიათ. ელექტონის ფარნები ჩაუმწკრივებიათ, შედარებით სუფთა და მდიდარი მაღაზიები წამოუჭიმნიათ. აქ ნახავთ წიგნის მაღაზიებს, სტამბის მსგავს დაწესებულებათ, ბანკს, კლუბს, ქალაქის გამგეობას, სამსა თუ ოთხს საშუალო სასწავლებელს, მხიარულსა და მოკისკისე მოწაფეებს, დაღვრემილსა და განდიდების მადით შეპყრობილ ზოგიერთა უფროსსა და მასწავლებელს.. ერთის სიტყვით, ხედავთ და გრძნობთ, რომ გორიც სცოცხლობს, მოძრაობს, ფათურობს, ცხოვრებას ებღაუჭება, სცდილობს გაღვიძებას, გამოღვიძებას, გამოფხიზლებას, ჩვეულებრივ სალათას ძილისათვის ლღმა უკრავს

ყველა ქალაქისათვის უმთავრესი დაწესებულება, ამ ქალაქის გამამშვენებელი, გამჯანსაღებელი, გამამდიდრებელი და განმანათლებელი დაწესებულება არის ქალაქის გამგეობა, კრებული ქალაქის „მამათა". გორშიც არსებობს ქალაქის „უპრავა", შემოკლებითი თვითმმართველობა. აქაურ ქალაქის „მამებს" ეწოდებათ „რწმუნებულები", მათ მეთაურს კი — მამასახლისი, რომელსაც ჰყავს თანაშემწეც. წინად გორში „ქალაქის საბჭო" იყო, მაგრამ „საბჭოს" უხეირობისა გამო, თუ სხვა რამ მოსაზრებით, მთავრობამ გორის ქალაქის გამგეობას უფლებები შეუმცირა... ყოველ შემთხვევაში, გორის დღევანდელ „უპრავა"-საც დიდი საქმის გაკეთება შეუძლიან და ნიშნებიც არის იმისი, რომ დღევანდელი ქალაქის რწმუნებულები გულხელ დაკრეფილნი არა სხედან. ამას ჰმოწმობს გორის დღევანდელი გარეგანი სახე და იერი. ამ უკანასკნელ დროს გორის რწმუნებულთა კრებული განახლდა. რწმუნებულებად არჩეულ იქმნა ბევრი განათლებული და ხალხისთვის გულშემატკივარი პირი და იმედია რომ შრომას და მეცადინეობას არ მოაკლებენ გორის გაუმჯობესებას. უმთავრესი ის არის, რომ რწმუნებულთა კრებულმა კრგად გაითვალისწინოს ქალაქის შემოსავალ-გასავალი, სამართლიანად გაანაწილოს იგი მკვიდრთა საკეთილდღეოდ, დაჰგმოს ყოველივე **„ნათლიმამობა"**, პირდაპირ ამხილოს მტერი და მოყვარე, გააუმჯობესოს ქალაქის მოსამსახურეთა ნივთიერი ყოფა-ცხოვრება, რომ ხელმრუდობას ადგილი არა ჰქონდეს, ერთგვარად ადევნოს თვალყური როგორც შიგნითა, ისე განაპირა უბნებს, დაარსოს საავადმყოფო, გაამრავლოს ქალაქის სკოლები, ხელ ახლად შეაფასოს ძველად შეფასებული ქონება ქალაქისა, დააწესოს სამართლიანი გადასახადები, აჰკრიფოს „ნედოიმკები", შეამციროს უსარგებლო ხარჯები და სხვა, და სხვა და სხვა...

გორი შედარებით დიდი ქალაქია, მკვიდრთა რიცხვი 20,000—25,000 უდრის, უჭირავს ჩინებული მდებარეობა, უმთავრესი კულტურული, ეკონომიური და ადმინისტრატიული პუნქტია რამდენიმე მდიდარი ხეობისა და სირხვილიც იქმნება, რომ ამისთანა მდიდარ ქალაქს ღირსეულად არ მოუარონ. ღვთის წინაშე რწმუნებულები ჯერ-ჯერობით მუყაითად არიან. ჰმართავენ წინასწარ კრებებს, ეცნობიან ქალაქის საქმეებს, ეძებენ შემოსავლის წყაროებს, სცდილობენ ასე დაარიგონ ქალაქის შემოსავალი, რომ არსად გაჟონოს, ბოროტად არავინ მოიხმაროს. მათი ასეთი საქციელი არა რწმუნებულთაც აინტერესებს, აფხიზლებს. თუ წინად ქალაქის „უპრავას" ყურადღებას არავინ აქცევდა და ქუდი რომ შეგდოდ გორელისათვის „უპრავის" დარბაზში, გამოსატანადაც კი არ შევიდოდა, დღეს იგივე გორელი სიამოვნებით ესწრება ქალაქის „მამათა" კრებებს. თვალ-ყურს ადევნებს მათ მოქმედებას, უკვირდება ქალაქის მოსამსახურეთა ზნეობა-გონებრივ ავლადიდებას, ეს კი იმის მომასწავებელია, რომ გორი მალე დაწინაურდება და მალეც იხილავს ნაყოფს თავის გულშემატკივართა გულ წრფელ მოღვაწეობისას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:
ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,
და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ერ მოწონებული კანონ-პროექტი აფთიაქის გახსნის შესახებ დაამტკიცესო. ახალი წესით ქალაქის თვითმართველობას ფართო უფლებანი ენიჭება. ამდენხანს თუ ერობას, საზოგადოების აფთიაქის გახსნის დროს უნდა ეხელმძღვანელა საქიმო წესდების 353—356 მუხლის ძალით, ე. ი. არ შეეძლოთ გაეხსნათ აფთიაქი საქიმო გამგეობათა, გუბერნატორისა და კერძო მეაფთიაქეების ნება დაურთველად, დღიდან სრული უფლება ეძლევათ, გახსნან აფთიაქები ზემოხსენებულთა დაუკითხავად **განცხადების წესით.** ასეთი უფლებანი ჯერ მხოლოდ იმ საზოგადო დაწესებულებათ მიანიჭეს, რომელნიც საზოგადოებრივ ინტერესით ხელმძღვანელობენ. ამის გამო მეოთხე მუხლი ამ კანონისა აღნიშნავს, რომ საერთო და სამოქალაქო დაწესებულებათა აფთიაქები ვერ მიეყიდება და ვერც იჯარით გადაეცემა კერძო პირებს, რამდენად ფართოდ ისარგებლებენ თვითმართველობის ორგანოები ამ უფლებებით, ამის თქმა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება. დღესაც არსებობს ასეთი საზოგადო აფთიაქები, თუმცა საქმე ბევრგან ყოველთვის სასურველად ვერ მიდის სხვა და სხვა მიზეზების გამო. **ქუთაისის ქალაქის გამგეობას,** რომელსაც თებერვლის პირველ რიცხვებში სენატის განკარგულებით ქუთათურმა მეაფთიაქემ რულიგიონმა დაუხურა ფილიალური განყოფილება, ეხლა თამამად შეუძლიან, მეაფთიაქეების და საქიმო გამგეობის დაუკითხავად მეხუთე ნორმალური საქალაქო აფთიაქის გახსნა წყალგაღმა ნაწილში, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს იქაურ მოსახლეობას.

ლადო ბზვანელი.

დიმიტრი ყიფიანის წერილები

ბ-ნ ისაია ფურცელაძემ ჩვენს რედაქციას გადმოსცა დიმიტრი ყიფიანის შემდეგი წერილები.

ჩემო საყვარელო ძამიავ
სოლომონ ზახარიჩ!

მამა არ წამიწყდება ბიძა-ჩემს ზურაბს ზურაბ ერქვა და არა ზაქარია, მაგრამ რა გაეწყობა, მეც ივანიჩს მეძახიან[1]. შენი 16-ის წიგნი ამ თვისა, 17-ს მომივიდა; თუ შენც ჩემი 17-ის პასუხი 18-ს მოგივიდა და მეორეს ან მესამეს დღეს წამოხველ და ქალიც თან წამოიყვანე, იქნება მეტრიჩესკი და გუჯაროვნობის მოწმობის აღება ამ თვეის გასვლამდინ კიდევ მოასწრო; თუ არა და,—უნდა დარჩეს გიორგობისს თვემდინ. მართალია ჩვენში დაგვიანება გაჭირდება.

მე და შენი ძალუა-ბიძაშვილი შენ და ჩვენს საყვარელს ძალუებს სიყვარულსა, სამსახურსა და მოკითხვის მადლობას მოვახსენებთ.

ბარისი დათხოვნას აპირებს, ნამესტნიკი იქით წაბრძანდა და ჯერ არ ვიცი დაითხოვენ თუ არა. თუ ექსპედიციაში წასვლა გინდა ოსები მანდ არ არიან?

შენი ერთგულესი მამიდაშვილი
დიმიტრი ყიფიანი.
17 მაისს 1850 წელსა.

უბედურო რძალო ჩემო ნინო!

ამ წერილის მნახველი ნუ იფიქრებ, რომ შენს ნუგეშინისცემას განვიზრახვიდე რა'მე. არა! უბედურება საშინელი გეწია[2] გეწია და სოფლიერისაგან განქარვებას ნურავისაგან მოელი. იმას უნდა შეჰსტირო, იმას უნდა შეავედრო შენი სიქვრივე და შენის შვილების ობლობა,—იმას უნდა მიანდო გასამართლება შენის საჩივრისა, რომელსაც ხელთ უპყრია ყოველივე.—მაგრამ მწუხარებასაცა და გოდებასაც თავისი ზომა აქვს დაწესებული, რომ ზომას გარედ გასვლა სასოწარკვეთილებას არ დაემსგავსოს. განგება უფლისა არავის განუცდია და იმისთვისა ვჰსთხოვთ ხოლმე: იყავნ ნება შენი!

ნურც ამას იტყვ, რომ ცრემლის ფრქვევა არ გმართოს. გმართებს და უნდა აფრქვიო რამდენიც შეგეძლოს, რადგან მისითვე უზენაისის განგებულებითა ცრემლი გულს ალმობიერებს, და დამშვიდებული გული მეორეს ვალსაც მოგაგონებს, რომელიც უნდა გადუხადო შენის მეუღლის ნეტარად-ხსენებასა; უნდა იზრუნვო იმის ნაშთის შვილებისა და იმათის ოჯახისათვის.—რა პირველი ხორციელად მყოფობის ვალი გადაგხდა, მეორე ეს დაგრჩა უმძიმესი და უნდა იტვირთო. უნდა დაწყნარებულის გონიერებით არჩიო, რას ღონისძიებითაც ემჯობინებოდეს, რომ მამის ხსენების ღირსად გამოჰზარდო შვილები და შეძლებისამებრ განარინო მათგან შევიწროება, მდევნი სიობლისა. ყმაწვილი ხარ, მაგრამ შენღა ხარ იმათი პატრონი და ეს ვალდებულება მარადე წმიდ უნდა გახსოვდეს.

ვინცა ვინ ერთგულნი გეგულება, იმათი რჩევაც უნდა ისმინო და მერე, როგორც გულმა გითხრას, ისე მოიქცე.

ჩემად ამას გირჩევ შენცა და მეორეს უბედურს ჩემს სძალს ელისაბედსაც, რომ თქვენს შვილებსა და იმათს ყმასა და მამულს აპეკუნი აურჩიოთ, სახლ-კარი და ყმა და მამული კანონიერად იმას ჩააბაროთ; რაც რამ ნამდვილი და საიმედო სარგებლობა ან შემოსავალი გეგულებოდეთ, დაწულილებით აღრიცხოთ, იქიდამ საზრდო დაინიშნოთ და შვილებისათვის ზრუნვას შეუდგეთ,—ქალაქს იქნება, თუ გორსა, სადაც უსამჯობინარესად არჩევდეთ.

სხვებრ ყოველივე ღ-თს მიანდეთ, მაგრამ ცდაც კი გმართებს, რომ ბოროტება აღმოჩნდეს და სასჯელი მიეგოს. კანონი ამაზედ მღვიძარედ არის. ეს საქმე მთავრობას მოხსენებული აქვს და დავიწყებას არავინ მისცემს, რადგან დაწულილებითი გამოკულევა თვით **ხელმწიფეს** უნდა მოეჰხსენდეს.

თუ საჭიროდ ჰპოვოთ შეტყობინება რამე ჩემი, ან კითხვა რამე, ისეთის თავისუფლებითა და კადნიერებით შემომითვლიდეთ, როგორც უერთგულესს და ჭეშმარიტს ძმასა.

სოლომონ ძმა იყო ჩემი საყვარელი და იმის სახლსაც ყოველთვის იმის ძმად უნდა ვეგულებოდე ხოლმე.

თქვენი ღთ ისადმი შემავედრებელი
უმორჩილესი მაზლი
3 მარტს, 1854. **დიმიტრი ყიფიანი.**
ტფილისით.

საყვარელო ძმაო სოლომონ!

წიგნისათვის დ გულაბისათვის მრავალს გულითადს მადლობას მოგახსენებთ.

რაკი ჩემი სიტყვა გქონდა კარგად იცოდი, რომ გეწვეოდით, მაგრამ მაინც ზღილობა მოიხმარე და კიდევაც დაგვპატიჟე. ბატონი ხარ, გიახლებით დიდის სიამოვნებით, დიმიტრი აბაშიძე, იქნება გრიგოლ ორჯონიკიძეცა, მე და ქაიხოსრო. ჩვენი ანგარიში ასეა რომ ან ხუთშაბათს გეწვიოთ ვახშმათა ან პარასკევს სადილათა, მერე კულბითს ავიდეთ იოანე თეოლოღოსთან[3] და იქიდან გამოვიარბოთოთ, რომ კვირას ან ორშაბათს შინვე მოვიდეთ. იმედი მაქვს, რომ კიდევაც შეგატყობინოთ სახელდობრ როდის დავადგებით გზასა. ჩვენი ქალები კი ვერასგზით ვერ ახერხებენ წამოსვლას, რადგან თავისს პატარებს ვერ წამოიყვანენ და ვერც თავს დაანებებენ. დიდს მადლობას კი მოგახსენებენ დაპატიჟებისათვის.

ჩემის მხრით კი ესეც უნდა მოგახსენო, რომ რაც უფრო შინაურად ვიქნებით და გაზამბარავება არა მოხდება-რა ის უფრო სასიამოვნო იქნება.

ძალუა სიყვარულით მომიკითხე, შენი პატარები დამიკოცნე. აქაურნი ყველანი სახელდობრ ყველას მანდაურს გულითადს სიყვარულს, მოკითხვას, მოკითხვის მადლობას, პატივისცემას და ნახვის ნატურას მოგახსენებენ.

შენი მამიდაშვილი
დიმიტრი ყიფიანი.
ივ. აუგვისტოს ჩყნგ.
ქვიშხეთით.

სასამართლო

ბერ მაცოხას საქმე.

15 თებერვალს, პოლონეთის ქალაქ პეტროკოვში ოლქის სასამართლო შეუდგა სენსაციურ საქმის გარჩევას. ბრალდებულის სკამს ამშვენებს დრამის უმთავრესი გმირი **ბერი დამაზი მაცოხა.** მას მხარს უმშვენებს ქსენძი (მღვდელი) **სტარჩევსკი,** მონასტრისავე ძმა **ოლესინსკი.** დანარჩენი ბრალდებულები ერის კაცებია. მათ შორის ყურადღებას იქცევს დრამის ღერძი **ელენა მაცოხი.**

ამ საქმემ თავის დროზე ყურადღება მიიპყრო არამც თუ რუსეთისა, არამედ მთელ საკათალიკო ევროპისაც კი. დღესაც საქმის გარჩევას გაფაციცებით ადევნებენ თვალს, სასამართლოს ანგარიში თითქმის ყველა გაზეთებში იბეჭდება. სასამართლოში სამოცზე მეტი კორესპონდენტებია.

მოგვყავს მოკლედ საბრალმდებელო ოქმის შინაარსი:

13 ივლისს, სოფელ ზავადის მახლობლად გლეხმა **სუდაკმა,** გზის პირად წყლით სავსე არხში შენიშნა მოტივტივებული, თოკით შეკრული დიდი ყუთი. გლეხს ყურადღება არ მიუქცევია. ერთ **მწყემს ქალის** სიტყვით შუა დღისას გამოცხადნენ ადგილობრივი სოფლის მახლენი და წყლიდან ამოიღეს ყუთი. იგი აღმოჩნდა ქილობში შეხვეული კრაოტი. რაცა გახსნეს, შიგ იპოვეს ქურქი, ბალიში და სისხლში მოსვრილი, საცვლების ამარა, კაცის სხეული. გასინჯვის შემდეგ აღმოაჩნდა ბევრი სასიკვდილო ჭრილობა... პირველად ეგონათ, ეს ვუიციკოვსკის გვამიაო. ამის გამო ბევრი უდანაშაულო პირებიც დაატყვევეს. მაგრამ ვუიციკოვსკი ცოცხალი აღმოჩნდა. დიდი ხნის ძიების შემდეგ, ქილობის გამყიდველს მიაგნეს და იმის ჩვენებით ეჭვი მიიტანეს **იასნოგორკის მონასტერზე.** აღმოჩნდა, რომ სწორედ იმავე რიცხვებში, მონასტრიდან სადღაც გამქრალა კრაოტი. მიაგნეს იმ მეეტლესაც, რომელსაც მონასტრიდან გაუტანია კრაოტი. თუმცა ბერს მაცოხს მეეტლე დაუფიცებია, არაფერი სთქვაო, მაგრამ მეეტლემ მაინც აღიარა, რომ მან მონასტრიდან გამოიტანა კრაოტი და ბერ მაცოხასა და ზალოგას თაოსნობით და დახმარებით გადაადგეს არხში.

ასეთი გუმანის შემდეგ იცნეს, რომ მოკლული არის მონასტრის სტუმარი, **ბერ დამაზი მაცოხას ბიძაშვილი ფოსტის მოხელე ვაცლავი მაცოხა.** საქმის გამოძიების დროს, მოკლულის ბიძა დამაზი, მონასტერში არ აღმოჩნდა. როგორც გამოირკვა მას საზღვარ გარედ გაპარვა დაეპირებინა, მაგრამ გზაში შეიპყრეს და დანაშაულშიაც გამოტყდა. მხოლოდ აღიარა, რომ ჯერ მინდოდა ბერის ტანისამოსი გამეხადა, როგორც მკვლელს, რაკი უფრო შემშვენდებოდა საერო ტანისამოსი ჩამეცვა და მართლ-მსაჯულებისთვის მერმედ გამეცხადებიაო.

ამ ჯოჯოხეთურ დრამის **საბაბი** ყოფილა ოთხ კლასიან, პროგიმნაზიაში კურს დამთავრებული **ქალი ელენე კრიჟანოვსკი,** რომელიც ბერ მაცოხას გაუცვნია მონასტერში, როგორც მლოცველი. ამ სულიერ გაცნობას მოჰყოლია ხორციელი გაცნობაც. და მაზი და ელენე ძლიერ დაახლოვებულან. ელენესთვის ბერს მოუხერხებია ყალბი საბუთების შოვნა, რომლის წყალობითაც ის სცხოვრობდა ვარშავაში, როგორც კაპერ მაცოხას ქვრივი...

მერე კი რაღაც მოსაზრებით ბერს ელენე შეურთვევინებია, ღვიძლ ბიძაშვილისთვის, 18 წლის ვაცლავისათვის. ახალ ჯვარდაწერილები მაშინვე საზღვარ-გარედ წასულან.

დაბრუნების შემდეგ ვაცლავი ჰსტუმრებია ბიძას და, როგორც დამაზი ამბობს, თან მოუტანია ვიღაც ბულხაკის წერილი, რომელიც საწყალ „ნაქირავებ ქმარს“ თვალს უხელდა და ამჟღავნებდა ელენესა და დამაზის ახლო კავშირს. ეს ამბავი ისე სწყენია ბერს, რომ საწყალი ბიძაშვილი იქვე მოუკლავს ცულით. („ექიმების აზრით მძინარე.) ბერს იმავ დღესვე მონასტრის უხუცეს ბერისთვის აღსარება უთქვამს, რომელსაც ურჩევია, მოკლული მონასტრისთვის მოეშორებინა. თუ როგორ მოაშორა ეგ უკვე ვიცით.

სულის მოყვარე ბერს ეგეც არ უკმარებია და თავის სამონასტრო სენაკის (ოთახის) კედლები თავის ხელით შეუღებავს. ალბად სისხლის კვალის დასაფარად. როგორც გამოირკვა, დამაზი ძლიერ სულ გაშლილად, რაინდულად, ცხოვრებდა და დიდძალ ფულსაც ფლანგავდა. საიდან შოულობდა უბრალო ბერი ამდენ ფულებს? თუ ვერწმუნებით მას, იგი ამბობს: მე და **ბერმა სტარჩევსკიმ** მონასტრის ხაზინადარს ფულის პარვაში მოვასწარით და ყოველ თვიურად გვაძლევდა თითოს 50 მანეთს, რომ არ გაგვემჟღავნებინაო. ერთხელ კიდევ ამ ორ მეგობართ მოუპარავთ ხუთი ათასი მანეთი სამონასტრო ფული და ხშირად იპარავდნენ მონასტრის ყულაბიდანაც, რომელსაც საგანგებო გასაღებით სისტემატიურად აღებდნენ.

ასეთ ბრალდებების გარდა, რასაც დამაზი თავისი პირით აღიარებს, გამოირკვა, რომ **ელენე** ძლიერ ხშირად დადიოდა მონასტერში და როცა ელენე მოდიოდა დამაზი თავის სენაკიდან ქრებოდა.

ამ რიგად ბერი დამაზი პასუხის გებაშია მიცემული და ბრალად ედება წინასწარ განძრახვით ბიძაშვილის მოკვლა, ყალბი საბუთების შედგენა, მკრეხველობა მონასტრის გაძარცვა და სხვა“.

ამ საქმის გამო დაიბარეს მოწმედ ამ მონასტრის ბერები. ისინი სასამართლოს ყველაფრით გაურბიან და სცდილობენ სიმართლე მიაფუჩეჩონ. ერთმა ბერმა განაცხადა: სიმართლეს ვერ ვიტყვი, რადგანაც ჩემს, ქრისტეს მიერ სულიერ ძმას, ეს ჩვენება დაღუპავს და ამას კი ქრისტე გვიკრძალავსო.

მაცოხას დამცველმა კლეინმა თავისი სიტყვაც ასე დაასრულა: „სასამართლოს არ შეუძლიან შური იძიოს, ამას არ ითხოვს არც საზოგადოება და არც მონასტერი. ჩვენ ყველანი ცოდვილი ვართ, დამნაშავენიც უბადრუკნი და ცოდვილნი არიანო“.

ვნახოთ სასამართლო როგორ მსჯავრს გამოიტანს.

ჯერ-ჯერობით, ვიდრე გორი ეღირსებოდეს კაკუთარ თეატრს თუ „სახალხო სახლს“, სადაც მშრომელ ხელ-მოკლე ხალხს შეეძლება მიეცემა თვით განვითარებისა და სულით-ამაღლებისა, ქ. გორის დამამშვენებელი არის მისი საშუალო სასწავლებლები: გიმნაზიები ქალთა, და ვაჟთათვის, სამოსწავლებლო სემინარია, სასულიერო და სამოქალაქო სკოლები. სამწუხაროდ ვერას გეტყვით ამ სასწავლებელთა შინაგან ცხოვრებაზე, ვინაიდან დრო და გარემოება ხელს არ მიწყობდა მათდა გასაცნობად. უეჭველია ეს სასწავლებლებიც არ იქნებიან თავისუფალნი საერთო ნაკლისაგან, მხოლოდ ერთი ღირსება კი ჰქონიათ **აქაურ გიმნაზიებს.** „გორის გიმნაზიები ერთად ერთი გიმნაზიებია, სადაც ქართულ ენის სწავლებას შედარებით მეტი უფლება აქვს მინიჭებულიო, - მითხრა ერთმა პატივცემულმა ქართველმა.—მერე სარგებლობენ კი ამ უფლებითა — მეთქი? — დავეკითხე. ქალთა გიმნაზიის არა უშავს-რა, მაგრამ ვაჟებისაზე კი რა მოგახსენოთ. არ არიან კმაყოფილნი გორელები მოწაფეთა საქციელითაც; ძალიან თავ-აშვებულნი არიანო. ვინ არის მერე დამნაშავე? ბევრი რამ, მაგრამ უფრო დამნაშავენი არიან ჩვენი დედმამანიც, რომ არავითარ იდეალს არ უნერგავენ თავის შვილებს.

საჭიროა დაარსდეს „მშობელთა წრე“. მიეცეს მას სათანადო უფლება, რომ ვიდრე საზოგადო აზრი გამეფდებოდეს, ვიდრე უკეთესად მოეწყობოდეს ჩვენებური სასწავლებლები, მანამდე ამ „მშობელთა წრემ“ ცოტათი მაინც ალაგმოს მოზარდ თაობის ცუდი მიდრეკილებანი....

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ გორის კულტურულ დაწესებულებათ: სასწავლებლებსა და სახალხო უნივერსიტეტს (ეს ჯერ ქაღალდზე უფრო არსებობს, სამწუხაროდ, რასაკვირველია) ამ წელს ერთი დაწესებულება კიდევ მიემატება. მე მოგახსენებთ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გორის განყოფილების შესახებ. ამ განყოფილების სურვილი გორის ქართველებს შარშანვე განუცხადებიათ მთავარ გამგეობისათვის. მაგრამ ქართველურ დაუდევრობისა, თუ სხვა მიზეზისა გამო, პირველი კრება გორის განყოფილების გამგეობას, მხოლოდ წარსულ კვირეებში მოუხდენიათ და დაუდგენიათ: დაარსდეს წიგნთსაცავ-სამკითხველო, — წიგნის მაღაზია და სკოლა, უახლოეს დროში შეძენილ იქმნას საკუთარი ადგილი განყოფილების დაწესებულებათა ასაგებად და გაიმართოს განყოფილების სასარგებლოდ სალიტერატურო, ან სხვა გვარი რამ სალამოგასართობი, რომლის დიასახლისადაც უნდა ბრძანდებოდეს კნეინა ნინო ივანეს ასული თუმანიშვილისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გორის განყოფილების დიად მნიშვნელობის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ეს ყველა ქართველს ძალიან კარგად უნდა ესმოდეს, თუ იგი ბუნებით დამახინჯებული არ არის. იმედი გვაქვს რომ ისეთი ცნობილნი და შესმენილნი ქართველნი, როგორიც არიან გორის განყოფილების გამგეობის წევრნი: თ. ნ. ა. თუმანიშვილი (თავმჯდომარე) ნ. ლომოური (თავმჯდომარის ამხანაგი) პოეტი თედო რაზიკაშვილი, პროვიზორი ვანო კვალიაშვილი, ექიმი კ. ელიოზიშვილი, მასწავლებელნი პარმენ ჯაფარიძე და ჩ. კასრაძე მუდამ გულმოდგინედ იქნებიან და სიტყვას მალე საქმედ აქცევენ.

ღირსია დიდის ყურადღებისა გორის ბანკი და წვრილი კრედიტის საზოგადოებაც, მაგრამ ამათ კვლავ დავუბრუნდები, თუ გარემოებამ ხელი შემიწყო. ახლა კი წერილი უიმისოდაც გამიგრძელდა...

დასკვნა. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჭირნახული და უკანასკნელ წელთა ქარცეცხლში გამოვლილი ქალაქი გორი იღვიძებს. ლამაზდება, შნოიანდება, გარკვეულ გზას ადგება. მისი მკვიდრნი ერთად ძმურად მუშაობენ უკეთესის მომავლისათვის. დიდ ყურადღებას აქცევენ სწავლა-განათლებას, ეროვნულ შეგნებას, ახალი გორელებს ასე ადვილად აღარავინ მოატყუებს. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა რბილისაო“ ბრძანა შოთამ და რადგანაც გრდემლის მოხმარება ისწავლეს გორელებმა, ამიერიდან თავის ბედსაც გამოსჭედვენ...

ია ეკალაძე-ცინცაძე.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

ურგა. კალგანის გზაზე მდებარე მდ. ტოლუს ხიდი დაიწვა. ამბობენ, განზრახ მოუკიდეს ცეცხლიო. ხმა დავარდა, ჩინეთის ბანკი დახმარებას მიიღებს პეკინიდანაო. განიზრახეს ხმარებაში გამოსული ბანკნოტების მოსპობა, ძველ საქმეების ლიკვიდაცია და საქმეების დაწყება ახალ სააქციონერო წესით.

პეკინი. ხმა დავარდა, კაბინეთის წევრთა და მინისტრ-პრეზიდენტის არჩევა ნანკინში მოხდება, სადაც მთავრობის წარმომადგენლად პრეზიდენტის თანაშემწე ლიანქუანი იქნება.

კაბინეთის წევრთა არჩევის შემდეგ, ახალი მთავრობის წევრნი განსაკუთრებულ მცველობით პეკინს ჩავლენ. მიდამოებში ძარცვა-გლეჯა არ შეწყვეტილა. აჯანყებულმა ჯარმა ხენანის პროვინციაშიაც დაიწყო ძარცვა-გლეჯა.

გირინი. გუბერნატორმა ჩენჩაონმა იუანშიკაის დეპეშით აცნობა: ორი მთავრობაა, ნანკინისა და პეკინისა და ეს დიდ არევ-დარევას იწვევს სადმინისტრაციო საქმეებშიო. გუბერნატორი სთხოვს, საჩქაროდ შეადგინონ საერთო მთავრობა.

მუკდენი. რადგანაც აქ დაბანაკებული ჯარი სანდო არ არის, გენერალ-გუბერნატორმა სინმინტინიდან მე-77 პოლკი დაიბარა. ანშანჟუანს ახლო მთავრობის ჯარმა რევოლუციონერების ჯარი დაამარცხა.

კულჯა. სიბინელებმა ახალ სუიდუნში თოფის წამლის საწყობის აფეთქება მოინდომეს. ორი კაცი დააპატიმრეს. რევოლიუციონერები სიბინელებს ვერ ენდობიან და რაზმებს დუნგანში აგროვებენ.

პეკინი. შანდუნში ისევ ძარცვა-გლეჯა. უცხოელთა ჯარის რიცხვი 6 ათასია, კარგად შეიარაღებულ ჩინელთა კი—100 ათასი.

ვაშინგტონი. პეკინში მყოფმა შეერთებულ შტატების ელჩმა სთხოვა მანილიის მთავრობას, პეკინს ჯარი გამოჰგზავნეთო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

ურმია. საკონსულოს სადგომში გუბერნატორს ცალკე ოთახები მიუჩინეს. ბაღში რამდენიმე ფარდული დასდგეს გუბერნატორის ამალისა და კანცელარიის მოსათავსებლად. გუბერნატორი საქმეებს ამ ფარდულებში აწარმოებს.

ჯულფა. ხუთი ავტომობილით ქოის წავიდა რუსის ჯარის რაზმი.

თავრიზი. ზენჯანში ფერმან ფერმას მომხრეებმა პოლიციიმეისტერი მოჰკლეს და გუბერნატრი დაპატიმრეს.

თეირანი. ავტომობილით მოვიდა ყაზვინის რაზმის უფროსი გაბაშვილი გზას 7 საათი მოანდომა.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

რომი. პალატა. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა: ხუთი თვის ომის განმავლობაში შემოსავალმა იმატა და წლევანდელ სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვას ნახევრად უდეფიციტოდ დავფარავთო. ჩვენი მდგომარეობა ნებას გვაძლევს უსესხოდ და ახალ გადასახადების დაუწესებლად განვაგრძოთ ომიო (მოწონების ნიშანი).

გენერალი რეისელი დეპეშით იტყობინება: 21 თებერვალს მერგების მაღლობებზე იტალიელთა პოზიციებს აღმოსავლეთის მხრიდან ოსმალნი დაეცნენ. ბრძოლამ მთელ ღამეს გასტანა. მტერი დიდად დაზარალებული უკუ ვაქციეთ.

პერიმი. იტალიის კრეისერმა „კალაბრიამ“ შეიჰ-საიდს ზარბაზანი დაუშინა და შემდეგ ჩრდილოეთისკენ გასცურა.

სტამბოლი. წუხელის საცდელი ალღუმი მოახდინეს დარდანელის სრუტეში სიმაგრეებიდან ზარბაზნით ძველი გემი 7 წუთში დაძირეს.

რომი. წინააღმდეგ გავრცელებულის ხმისა, „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, იტალიას თავისუფალ მოქმედების ნება აქვს ყველგან, გარდა ადრიატიისა და იონიის ზღვათა საოტომანო ნაპირებისაო. ამას გარდა, არც ერთ სახელმწიფოს იტალიისთვის არ ურჩევია სამხედრო მოქმედება შეამცირეო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

24 თებერვალი.

საზღვარ-გარედ.

ინგლისის პალატა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ჩერჩილი შეკითხველთ უპასუხებს: გემთა განსაზღვრულ რაოდენობას დამზადება შეეფერხდება, თუ გაფიცვა არ მოისპო. ასკვიტმა განაცხადა, ტყუილია, ვითომც მთავრობას სურვილი ჰქონდეს ხვალ ხელფასის მინიმუმის დაწესების ბილლი შემოიტანოსო. მთავრობა სცდილობს შეძლება მისცეს პალატას გაფიცვის საკითხის განხილვისა, მაგრამ, მდგომარეობის გამოურკვევლობის გამო, დროს ვერ განსაზღვრავსო.

ასკვიტმა განაცხადა, ირლანდიის ჰომრულის ბილს აღდგომამდე ვერ შემოვიტანთ, **ხარჯთ-აღრიცხვისას** კი 20 მარტს წარმოვადგენთო.

რედაქციების დაკეტვა.

მანაგუა (ამერიკა) შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივან ნოქსის აქ ყოფნის გამო ორმა გაზეთმა ამერიკის საწინააღმდეგო წერილი დაჰბეჭდა და ნოქსის წინააღმდეგ დინამიტის ხმარებას ურჩევდა ხალხსა. ორივ რედაქციის წევრები დააპატიმრეს.

ინგლისის გაფიცვა.

ლონდონი. ასკვიტი, გრეი და ლოიდ-ჯორჯი მთამადანთა მუშების კომიტეტს მოელაპარაკნენ.

გაფიცვის საქმე ჯერ ვერ მოუგვარებიათ, თუმცა მრეწველთა საბჭო უელსის მაღაროების პატრონებსა და მუშათა კომიტეტს ცალცალკე მოელაპარაკა. გაფიცვის გამო სუონსის ოლქის ორ მაღაროში წყლის ამოქაჩვა ველარ მოახერხეს. თუ გაფიცვა გაგრძელდა, წყლის ამოქაჩვას ორ თვეს მოანდომებენ. ჩრდილოეთ-დასავლეთის გემების პატრონები არაჩვეულებრივ ფასს აძლევენ გემებზე დარჩენილ ქვანახშირში. 61 ფუთი ქვანახშირი 15 მანეთად ფასობს. ნახშირის ფასს ეს 20 წელიწადია ასე არ აუწევია. მდ. ტაინის ოლქში სამრეწველო დაწესებულებანი დაკეტილია. მდ. ტისზე მხოლოდ 9 (74-იდან) საქარხნო ფეჩი მუშაობს.

კილი. ინგლისელ მუშათა გაფიცვისა გამო, ქვანახშირის ნაკლებულებაა. გემთა მიმოსვლაც ძალიან შემცირდა.

---

[1] დიმიტრი ყიფიანის დედის ძმას ერქვა ზურაბი. ზურაბის შვილი იყო სოლომონი. ზურაბი გადაუკეთებიათ ზაქარიად; დიმიტრის მამას რქმევია კოჩო, მაგრამ იმის სახელიც ივანედ გადაუკეთებიათ. რედაქცია.

[2] ნინო სოლომონის ცოლია. სოლომონ ზურაბის ძე ფურცელაძე დიმიტრის დედის ძმის შვილი იყო. რედ.

[3] იოანე თეოლოღოსს ეძახდნენ ივანე სამის ძე ჩერქეზიშვილს. რედ.

მარსელი. „კომპანი ჟენერალ ტრანსატლანტიკ“-მა გამოაცხადა, გემები სწრაფად ველარ დასცურავენ ქვანახშირის ნაკლებლობის გამო, რაიც ინგლისის გაფიცვის ბრალიაო.

ბოხუმი. გაფიცვის გამო პოლიციამ, მოსალოდნელ არეულობის წინაალმდეგ, ზომები მიიღო. მთავრობა მუშაობის მსურველთ, რომელთა რიცხვი დიდია, დიდის მზრუნველობით იფარავს.

უნგრეთის კაბინეთის.

ვენა. მინისტრ-პრეზიდენტმა კუენ-ქედერვარმა იმპერატორს თხოვნა მიართვა უნგრეთის კაბინეთის გადადგომისა.

სამხრეთის პოლიუსზე.

ლონდონი. ველინგტონიდან (ახალი ზელანდია) „დეილ ექსპრესს“ დეპეშით ატყობინებენ, მოგზაურმა ამუნდსენმა განაცხადა: კაპიტანმა სკოტმა სამხრეთის პოლიუსს მიაღწიაო.

ქრისტიანია. სამხრეთის პოლ-უსამდე ამუნდსენიც მისულა.

გერმანის რეიჰსტაგი.

ბერლინი. რეიჰსტაგის წესდებათა გადამსინჯველ კომისიას განზრახვა აქვს შემდეგი შესწორება შეიტანოს: შეკითხვის თაობაზე მსჯელობის დროს, თუ 30 წევრი მოინდომებს, რეიჰსტაგს შეუძლიან კანცლერიის მოქმედების დაგმობა, ან მოწონება.

ფრენა.

პარიზი. ლონდონიდან დილის 8 საათზე ავიატორი საალნე გაფრინდა და 11 საათზე ისილე-მულინში (პარიზის მახლობლობად) მშვიდობიანად დაეშვა.

საფრანგეთი. ამ დღეებში ფრანგულ გაზეთ მატენმა მოწოდებით მიჰმართა პრესის სინდიკატის თავმჯდომარეს, პრესის სინდიკატს და მთელ პრესას, რომ შეიტანონ თავიანთი წვლილი საფრანგეთის ავიაციის გასავითარებლად; ჯერ-ჯერობით გაზეთ მატენმა გადადო 50,000 ფრანკი, პტი ჟურნალმა 50,000 ფრანკი და ლე ჟურნალმა 50,000 ფრანკი სულ 15,000 ფრანკი,

სუფრაჟისტკები.

ლონდონი. სამ გამოჩენილ სუფრაჟისტკას შეთქმულება დააბრალეს. თავდებობით მოინდომეს მათი განთავისუფლება, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო.

სუფრაჟისტკებმა არეულობა ისევ დაიწყეს და ვესტიენდის უბანში ფანჯრები დალეწეს. ბევრი დააპატიმრეს.

ჯარის თავმოყრა.

ვაშინგტონი. მთავარმა შტაბმა შეიმუშავა მექსიკის საზღვარზე ამერიკის 100 ათასი ჯარის-კაცის მოგროვების გეგმა. ამერიკელები მექსიკიდან იხიზნებიან.

რუსეთი

რედაქტორების დაჯარიმება და სამართალში მიცემა.

პეტერბურგი. „ბირჟევია ვედომოსტის“ რედაქტორი 250 მანეთით დააჯარიმეს 21 თებერვლის ნომერში მოთავსებულ ალმატერის ლექსისათვის.

გაზ. „ზვეზდას“ 33 თებერვლის ნომერი აკრძალეს. რედაქტორი 129 მუხლის ძალით პასუხის გებაში მისცეს.

ყადაღის ახსნა

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ გაზ. „ზვეზდას“ 36 ნომერზე დადებული ყადაღა უსაფუძვლოდ სცნო და ნომერს ყადაღა ახსნა.

სტუდენტების დაპატიმრება.

ნება-დაურთველ კრების გამართვისათვის, ქალაქის უფროსმა სამის თვის დაპატიმრება მიუსაჯა სტუდენტ ეისმონდტს, ხოლო 62 სტუდენტს—ორ-ორი თვით.

ღია წერილი

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა, უცხო კულტურისა და ტრადიციებზე აღზრდილი, დაშორებული ეროვნულ კულტურასთან, გადაგვარების გზას დასდგომია.

ჩვენში სამოღვაწეო ასპარეზი დიდია, ხოლო რიცხვი საზოგადო მოღვაწისა თანდათან კლებულობს, მოსწავლე ახალგაზდობაში კი ნაკლებად ჩნდებიან ისეთები, რომელნიც მომზადებულნი იყვნენ ქვეყნის სამსახურისთვის. ამას ზედ დაუმატეთ სრული უცოდინარობა ენისა და სამშობლოს წარსულისა და ადვილად წარმოიდგენო თუ რა საშისელი მერმისი მოელის ჩვენს სამშობლოს.

ყველა ჩვენგანს სწავლის დამთავრების შემდეგ ჰსურს სამშობლო ქვეყანაში დაბრუნება და იქ ეროვნულ ნიადაგზე მუშაობა, ამ სურვილის ასრულება კი ყოვლად შეუძლებელია, თუ ჩვენ არ გვეცოდინება სამშობლო ენა. დასახულ მიზნის მისაღწევ საშუალებად სამხედრო საექიმო აკადემიის ქართველმა სტუდენტობამ დაისახა აკადემიაში ქართულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება.

დღეს სამხედრო-საექიმო აკადემიაში 22 ქართველი სტუდენტია, ის ფული, რომელიც ჩვენ გვაქვს, გვყოფნის მხოლოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად. ვთხოვთ ქართველ საზოგადოებას გაგვიწიოს დახმარება ამ სიმპატიურ დაწესებულებაში ქართულ წიგნების შემოწირულებით.

მისამართი: Петербургъ, Большая Дворянская ул. № 22, кв. 1, студенту Н. А. Кипшидзе.

სამხედრო-საექიმო აკადემიის **ქართველ სტუდენტთა წრის გამგეობა.**

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 23 თებერვალს ქართულ თეატრში წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. ბევრჯერ გვინახავს იგი, ქართული თეატრის თითქმის ყველა მოსიარულემ ზეპირად იცის „ღალატი“, მაგრამ მაინც გული ვერ მოუთმენს ხოლმე ერთხელ კიდევ შეჰხედოს, ერთხელ კიდევ დასტკბეს ამ ხელოვნურის ნაწარმოებითა.

სასიამოვნო სანახავი იყო ხუთშაბათს თეატრი. ხალხი, ნამდვილი დემოკრატია, შეგროვილიყო. შეგროვილიყო, რადგან „ღალატი“ საისტორიო პიესაა, და „ისტორია“ ხომ ძალიან უყვარს ჩვენს ხალხსა, სიამოვნებითაც მოისმენს ხოლმე „წარსულთა დროთა მოგონებას“. უყვარს ხალხს საისტორიო პიესები და განა საკვირველია: იქ ჰხედავს იგი ჩვენი სულის მთლიანობას, მონობასთან ბრძოლას და იმ ძვირფასს საგანს, რასაც ყოველთვის „ჰნატრულობს ჩუმის ნატყვრითა ქართველი“...

„ღალატი“ მით უფრო საგულისხმოა, რომ ეკუთვნის ბ. ა. სუმბათაშვილის მადლიან კალამსა.

ხუთშაბათის წარმოდგენა არტისტებისათვისაც განსაკუთრებულ დღესასწაულს შეადგენდა. ეტყობა, მოსწონთ და უყვართ ეს პიესა ჩვენ მსახიობებს. ამ საღამოს თითქოს ყველა უნაკლო იყო და ხელს უწყობდა წარმოდგენის მთლიან შთაბეჭდილებას.

უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია **ბ. იმხნელი**, როგორც პირველად აღმასრულებელი სულეიმან-ხანის როლისა. მსახიობს ეს როლი შეეფერება. თუმცა ალაგ-ალაგ, ისეთი ხმის ამაღლება, როგორიც ბ. იმხნელმა გამოიჩინა, ჩვენის აზრით, საჭირო არ არის. სულეიმანი ცივია, ვით საფლავის ქვა, ცივია დიდის მრისხანების დროსაც, ცოტა მოისუსტებდა მონოლოგი: „არაბეთში დავიბადე“ და სხვ. საზოგადოდ ბ. იმხნელი კარგი იყო და ამ როლის სხვა ამსრულებელთ თითქმის არ ჩამოუვარდებოდა.

ბ. გუნიას ოთარ-ბეგს ყველა იცნობს. ეს როლი სწორედ ზედ გამოჭრილია და უნაკლოდაც ასრულებს ხოლმე.

ქ-ნი დავითაშვილიც პირველად არა თამაშობდა ზეინაბის როლსა. ამ მსახიობ ქალს ერთი ნაკლი შევამჩნიეთ ამ საღამოს. იგი მაყურებელს ძალიან ხელოვნურად ამზადებს დრამატიულ მომენტისათვის და ამ მომენტის დადგომის დროს კი ველარ შესძლებს ხოლმე საჭირო სიძლიერის გამოჩენას.

მშვენიერი იყო ქ-ნი **ლეჟავას** ასული გაიანეს როლში. გულუბრყვილობა და სადაობა გაიანესი, მსახიობმა ქალმა მშვენივრად გადმოგვცა.

ბ. ვასო აბაშიძე თითქმის ყველას უნახავს ბესოს როლში და დამტკბარა კიდეც.

ბ-ნმა **ივანიძემ** საბა ბერის როლი კარგად შეასრულა. ამას ხელს უწყობდა მისი გარეგნობაც.

ბ-ნმა **მატარაძემ** შეასრულა დათოს როლი, ხოლო **ბ. ჟივიძემ** ერეკლესი. ორივეს არა უშავდათრა.

საზოგადოება იცნობს აგრეთვე ბ-ნ **მესხის** ანანიას. ჩვეულებრივ ამ საღამოსაც კარგი იყო. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი **კარგარეთელი** რუქაიას როლში.

საზოგადოდ ამ საღამოს წარმოდგენას ყველა უწყობდა ხელსა და როლი არავის გაუფუჭებია.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით პიესის დადგმის თაობაზე. ოთარბეგის ციხე-დარბაზის ეზოში დიდი კაკლის ხე უნდა იდგეს და იქ კი ერთი საცოდავი რამ დაედგათ, ბ-ნ გუნიაზე ცოტათი მაღალი.

ვერ მოეწყოთ აგრეთვე მასიური სცენები. უკანასკნელ მოქმედებაში ქართველთა ჯარი 5—6 კაცისაგან შესდგებოდა. „ქრისტე აღსდგაც“ ვერ იგალობეს ჯეროვანად, რაღაც ლუღლუღსა ჰგავდა.

რაჭველი.

ავლაბრის კლუბი. ხუთშაბათს, 23 თებერვალს, ავლაბრის კლუბში გაიმართა საოჯახო საღამო. წარმოდგენილ იქმნა „უბედური დღე“ ვოდ. 1 მოქ. ბ. ბალანჩივაძისა და „ჭკუისა მჭირს“ ვოდ. 1 მოქ. ა. ცაგარლისა. მიუხედავად სცენის სიპატარავისა, წარმოდგენამ მაინც მწყობრად ჩაიარა. სცენის მოყვარეთა ხელოვნურ სიმარჯვით ეტყობოდათ, რომ მათ შრომა არ დაეზოგნათ. ვურჩევდი ზოგიერთ სცენის მოყვარეთ, პიესაში თავის სიტყვებს ნუ ჩაურევენ.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. წაიკითხეს ლექსები და სცენები—გლეხური, გურული და იმერული. გრიშაშვილის ლექსებმა „კინტოს ცხოვრებიდან“, ხალხში ტაშის ცემა გამოიწვია. საზოგადოება ამ საღამოს აუარებელი დაესწრო. მიუხედავად დარბაზის სიპატარავისა წესიერება მაინც იყო.

ს. თითბერიძე.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად დაგვისტამბოთ თქვენ გაზეთში ეს წერილი: ს. კარდენახში შარშან მარიამობისთვეს ამორჩეულ იქმნა მოწინავე წრისაგან კომიტეტი, ხუთი პირისაგან და მათი მოადგილეები ამდენივე. რომელმაც უნდა დაარსოს ახალი ყოველნაირი საჭირო კულტურული დაწესებულებანი და აგრეთვე მოაწესრიგოს არსებულნი. ამ კომიტეტის ერთ უპირველეს მზრუნავს შეადგენს **უფასო სამკითხველო**, დაარსებული განსვენებულის კნ. **ელენე ილ. აფხაზისგან**; ამ სამკითხველოს მასულდგმულებელ სახსარს შეადგენდა და შეადგენს: საწევრო გადასახადი, შემოწირულებანი და შემოსავალი მის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენებიდან. ამ უკანასკნელთ კი ყველაზედ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამკითხველოს ცხოვრებაში, რადგანაც ყოველთვის კარგ შემოსავალს იძლეოდა და საავარაკოდ მოსული ახალგაზდობა და მოსწავლენი დიდის თანაგრძნობით ეხმარებოდნენ სამკითხველოს გამგეს კნ. ელენე აფხაზს.

ბევრი წარმოდგენა გამართულა დღევანდლამდე სამკითხველოს სასარგებლოდ აგრეთვე—**კნ. ელენე იაგორის ასულის ვაჩნაძისგან**, მის გამგეობით, ზაფხულს 1907 წელს, რომლისაგანაც დარჩა წმინდა შემოსავალი **85 მანეთი.** ეს ფული დღევანდლამდე ინახება ხსენებულ წარმოდგენის გამგის კნ. ელენე ვაჩნაძესთან. ახალმა ამორჩეულმა კომიტეტმა, რომელმაც უნდა აავოს შენობა სამკითხველოსი, მაგიერ ფიცრულისა, რომელიც დალპა და ვერ აკმაყოფილებს სამკითხველოს მოთხოვნილებას, სამგზის წერილების საშუალებით მოსთხოვა კნ. ელენე ვაჩნაძისას ის 85 მანეთი, მაგრამ, არა თუ წერილით, უბრალო სიტყვითაც კი, არ ინება კნ. ვაჩნაძისამ პასუხის მიცემა ხსენებულ კომიტეტის შეკითხვა-მოთხოვნილებაზედ.

ამიტომ იძულებულ არის ხსენებული კომიტეტი, გაზეთის საშუალებით მოსთხოვოს მას პასუხი: 1) აქვს თუ არა მას 85 მანეთი სამკითხველოსი, გამართულ წარმოდგენიდან შემოსული? 2) აპირობს თუ არა გადაცემას იმ 85 მანეთისას ხსენებულ კომიტეტისადმი და როდის?

აგრეთვე სთხოვს ყველას, ვინც იცის რამე ამ საქმის შესახებ, მოაწოდოს ყოველნაირი ცნობანი გაზეთის ან წერილის საშუალებით.

თავმჯდომარე კომიტეტისა: **კნეინ. ქეთ. აფხაზი.** საქმის მწარმოებელი: **მღვ. ალექსან. ზირახოვი**. წევრნი: **ნ. გოგოლაშვილისა, კ. დარაშვილი, თ-დ. გიორგი რ. ვაჩნაძე.**

„სახალხო გაზეთის № 510-ში ამ წლის 27 იანვარს იყო დაბეჭდილი წერილი „თელავის ცხოვრება“ დავიწყებულისა, სამასკარადო საღამოების შესახებ, რომელნიც გამართული იყო 28 იანვარსა და 3 თებერვალს ქალ. თელავში. ვინაიდან ზოგიერთნი ჰფიქრობენ, ვითომც ეს წერილი იყოს გამოგზავნილი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგად. თელავის განყოფილების გამგეობის თანხმობით და სურვილით, ამიტომ საჯაროდ აცხადებს ხსენებული გამგეობა, რომ იგი წერილი არის გამოგზავნილი სრულიად გამგეობის გაუგებლად, რასაც, იმედია, თვით ავტორიც დაადასტურებს.

თელავის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი **ვ. ბ. კახიძე.**

20 თებერვალი 1912 წ. ქ. თელავი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო „ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას“, რომელმაც კეთილ ინება და უსასყიდლოდ გამომიგზავნა თვისი გამოცემა სალიტერატურო კრებული „გრდემლი“. **ი. ევდოშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ნინო გუგუშვილისას და ქ-ნ კეკიანს, რომელთაც უკიდურეს მდგომარეობაში მყოფს აღმოგვიჩინეს დახმარება და შემიგროვეს პირველმა—ათი მანეთი, ხოლო მეორემ—ორი მანეთი და ორი შაური. მადლობას ვწირავთ იმათაც, ვისაც შემოუწირავს: გ. მ. ფალავამ, ვ. ი. გელოვანმა და ტართმელაძემ—თითო მანეთი; ნინო ლ. გუგუშვილისამ—ორი მანეთი, ფანცხავამ—ოთხი აბაზი, მალხაზოვმა ნ. ერისთავმა, გ. თოიძემ, შ. ახვლედიანმა, ტატიანა მაცაკანოვისამ, ტასო ფუყელიძისამ და კობახიძემ ათ-ათი შაური; ბ. ჟორდანიამ და აბრამოვმა—ორ-ორი აბაზი; ვასო წერეთელმა, ლიზა გოგიტიძემ, ო. კ. აბაშიძემ, ლ. ქუთათელაძის ასულმა, ნ. დეუდორიანმა, გიგო ლ. კეკელის ასულმა, დ. დეუდორიანმა—თითო აბაზი, ნ. ნიუნიანიძემ, ღვთისომ, გ. კოსტამ, —ორ-ორი შაური. **მეთოდი მაბაკია.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № [illegible], I—III კლ. ღამ, 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს,

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ, 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედაჰლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

[illegible]—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, [illegible] მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, [illegible] მოედანზე.

განცხადებანი

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოდ. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიებას და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი.

(თ. 1646.26)

ეკიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფებს მიღებს ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით;

„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.23)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●
●● **ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскiй про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—33 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

სნეულთა
ვინც იტანჯება
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნერვალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ჭლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა,

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ზევრი საღდება, ამის გამო გასასყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას“** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა**, ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეირო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელასი“**.

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა“-ს** დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, საცა აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическiй институтъ. Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и Сыня.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С. Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
Метиль и К°. № 1277.

(12.1002.6)

საყურადღებოდ

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.